ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი 27 მარტი 2014 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი: ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: დავით მახარობლიშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, დავით აბულაძე, მერაბ გუჯეჯიანი, მანუჩარ მახათაძე, ნიკოლოზ ჩხაიძე.

მოწვეულები: ლ. აბდალაძე, რ. ესართია, დ. სამხარაძე, გ. ნადირაძე, ილ. წულაია, გ. გეგელია, გ. ინასარიძე, თ. ალავერდაშვილი, ა. ჩოქურია, კ. ძლიერიშვილი, ტ. სამუშია, გ. ჩიხლაძე, დ. ფირცხალაიშვილი, ლ. აბდალაძე, ალ. წაქაძე, ბ. კალანდაძე, ნ. სიხარულიძე, ირ. კირცხალია, ნ. ფარცხალაძე, ტ. სამუშია, რ. ებრალიძე, დ. ჯარიაშვილი,ჯ. ჩხაიძე, ვ. ცომაია, რ. ებრალიძე, ა. ლომსაძე, გ. ლაცაბიძე, ლ. გელაშვილი, ზ. გეწაძე, მ. დავრაშელიძე, ვ. ცხვიტარია, ზ. მაისურაძე, ლ. გოგუაძე, ზ. ნეფარიძე, გ. ინასარიძე, გ. სურგულაძე, ზ. ნეფარიძე, გ. ინასარიძე, გ. სურგულაძე, მ. ცერცვაძე, ბ. მორბედაძე, მ. ქუჩულორია, გ. ხუციშვილი, ზ. გიგაური, გ. მაჩაბლიშვილი, ნ. ჩხაიძე, ა. ბლიაძე, ს. ვოლოშინა, ი. რაზმაძე, ბ. კალანდაძე, ვ. ლომიძე, ზ. წულაია, ლ. გოთუა, რ. ებრალიძე, ბ. ვაშაყმაძე, გ. მაღრაძე, გ. ზაქაიძე, ვ. მაისაშვილი, ვ. სურგულაძე, გ. გვერდწითელი, ნ. გოგიაშვილი, თ. ბუხრაშვილი, გ. ცხვირავაშვილი, ნ. ჟღენტი, თ. ესიავა, ვ. ზუბიაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

14. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზემო ვაკის ქ. №№28–32–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.058.031) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ნ. სიხარულიძე, ირ. კირცხალია).

15. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.515) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ნ. ფარცხალაძე).

16. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ქ. №211–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ტ. სამუშია).

17. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, კროშტანტის ქ. №71–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – რ. ებრალიძე).

18. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გურამ რჩეულიშვილის ქ. №9ა-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – დ. ჯარიაშვილი, ჯ. ჩხაიძე, ვ. ცომაია).

19. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თემქის დასახლების I კვარტალში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.12.02.018.002) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – რ. ებრალიძე, ა. ლომსაძე).

20. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლვოვის ქ. №20–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – გ. ლაცაბიძე, ვ. ცომაია).

21. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, საქიმოს გასასვლელის №3–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ლ. გელაშვილი, ზ. გეწაძე).

- არ არის მისაღები. შესაცვლელია მიწის ნაკვეთის სტატუსი.
- არ არის მისაღები. შესაცვლელია მიწის ნაკვეთის დანიშნულება არასასოფლოთი.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. ნაკვეთის სტატუსის შეცვლის შემდგომ, საკითხის განხილვა შესაძლებელია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები. ჯერ შეეცვალოს სტატუსი.
- არ არის მისაღები.

უარი ეთქვას ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო–საცდელ მეურნეობაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.011.199) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 1, წინააღმდეგი: 6.

14. ნ. სიხარულიძის ინფორმაცია ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზემო ვაკის ქ. №№28–32–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.058.031) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ვ. საბიაშვილი. AR 1206592.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=0,8.
მინიჭებული პარამეტრები – კ1=0,6, კ2=1,7. კ2=2,0
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,7, კ2=2,9.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია. პროექტი ითვალისწინებს უმნიშვნელო ცვლილებას 0,2-ის ფარგლებში, არ იზრდება ბინების რაოდენობა.
- მისაღებია. პროექტი ითვალისწინებს მცირე რეკონსტრუქციას 0,2-ის ფარგლებში და რადგან არ იზრდება ბინების რაოდენობა მისაღებია.
- მისაღებია. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი რეგულაციით შენობის კ2=2,7, შესაძლებელია 0,2-ის მომატება.
- მისაღებია. ფაქტიური კ2=2,7-ია, ახალი რეგულაციიდან გამომდინარე ა.გ. ითხოვს 0,2-ით გაზრდას, რაც პრობლემას არ წარმოადგენს.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია ფაქტიური სიტუაციის გათვალისწინებით მხოლოდ შევსება.

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზემო ვაკის ქ. №№28–32–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.058.031) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაღვროს: კ1=0,7, კ2=2,9.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის #7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის #06.11.162 და დგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 7.

15. ნ. ფარცხალაძის ინფორმაცია ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.515) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ნ. ფარცხალაძე. AR 1207229.
დადგენილი პარამეტრები – კ2=4,6.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ2=5,0.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია წარმოდგენილი ვიზუალური მასალის გათვალისიწნებით (შევსებით).

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.515) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაღვროს კ2=5,0.

დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის სასამართლოსთან და ზემდგომ ადმინისტარციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების იურისტის ოთარ ნარჩემაშვილისთვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე №3/325–14 საქმეზე, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის სასამართლოსთან და ზემდგომ ადმინისტარციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების იურისტის ოთარ ნარჩემაშვილისთვის უფლებამოსილების მინიჭებაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე **კახაბერ ნიაური**

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი: **ალევან გეგეშიძე**

ქალაქ თბილისის მერია

განკარგულება № 742

"7" აპრილი 2014 წ.

ქ. თბილისში, ზემო ვაკის ქ. №№28–32–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.058.031), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 27 მარტის სხდომის №12 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ზემო ვაკის ქ. №№28–32–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.058.031), განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,7, კ2=2,9.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:**GE28LB0125152101627915.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

(მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე